

ბაზეთიქლირი:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერიის

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

ბაზეთის დასაბარებლად

და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვა გამოვრც. საზოგადოების კანცელიარიის.

ფასი განცხადებისა:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ. შემთხვევად—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## „ივერიის“

1896 წელსაც გამოდის გოველადე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმებს. ფასი განეთისა:

12 თვით.	10 მ.—კ.	6 თვით	6 მ.—კ.
11 „	9 „ 50 „	5 „	5 „ 50 „
10 „	8 „ 75 „	4 „	4 „ 75 „
9 „	8 „ — „	3 „	3 „ 50 „
8 „	7 „ 25 „	2 „	2 „ 75 „
7 „	6 „ 50 „	1 „	1 „ 50 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული იღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელი „ივერიის“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარეუბანში უნდა დაიბარონ განათა მემდევს ადრესით: **Тифлиси. Редакция „ИВЕРИИ“.**

თუ ტფილისში დაბარებული განათა ტფილისის გარეუბანში ადრეს-ზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ქალაქის გარეუბანში სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე, —ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ განათა არა მთელის წლით, მას გაეგზავნება განათა პირველ იმ თვიდან, რომელსაც დაბარებული აღნიშნავს. განცხადება მიიღება განათის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

ა) მთლზე გვერდზე თითო ჟერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანეთი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანეთი. რაცხევი სტრიქონებისა გამოანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო განათის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორექტივები უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგანგებო წერილები, თუ საკითხობა მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვს, ხოლო წერილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდვით ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰქონს რედაქციას. პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმებს გარდა, ათ საათიდან პირველ საათამდე და საღამომით 6-დან 7<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათამდე. რედაქცია იმყოფება: ნავალოზის ქუჩაზე, 21.

ვიც და გამქცევიც—ერთსა და იმავ დროს ერთსა და იმავ დღეებს ეხვეწებიან ხელი მომიმართო.

ჯოჯოხეთი იქნებოდა ეს ასეთი ცხოვრება, რომელსაც სხვა მიზეზი არსებობისა არა აქვს, თუ არ ის, რომ აღამიანი ბედნიერი იყოს, სიამოვნებას, ლენხას და სიხარულს არ იყოს მოკლებული, ვამბობთ, ჯოჯოხეთი იქნებოდა, რომ ამ წეწვა-გლეჯის ბაზარში სხვი ფენილ მადლსაც არ გაჰქონდეს თავისი პატიოსანი ნაამაგარი, თავისი ნაშრომ-ნაღვაწი კაცთა სანუგეშოდ და საიქილუოდ. დიდ-ბუნებოვანობა ცალკე აღამიანისა, თუ მთელის ერისა მის მიერ გატანულ მადლის მეტ-ნაკლებობაშია. ეგ მეტ-ნაკლებობა მადლისა არის უტყუარი საწყაო ცალკე აღამიანის, თუ მთელის ერის კაცურ-კაცობისა, მისი შინაგან სიმარტობისა, ქვა-კუთხედი მისის აღმატებულობისა. მადლი არის კრებული იმა კეთილთა, რომელიც შეადგენს ზნეობურს განძს როგორც თვითვეულ აღამიანისას, ისეც მთელის ერისას და ეგ განძი იგი კლდე, რომელზედაც შენდება ციხე-სიმაგრე ერის ცხოვრებისა.

აღამიანი და ნამეტნავად ერი არა მარტო პურიითა ერთითა ცხხალ არს. მართალია, მშობერი დიდს მანძილს ვერ გაივლის ამ მადლისა და ბოროტის ქიდილის გზაზე, მაგრამ უმადლოდაც, როგორც ხორცი უსულოდ, არაფრის მაქნისია. ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდს ტოტისა: ერთს რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს—სულისათვის. თუ ან ერთი დაშრა, ან მეორე—გვამი ერისა მკვდარია, ვითარცა უსულოდ ხორცი და უხორცოდ სული საქიოსათვის მაინცა. ამიტომაც ვინცა სწივის და ჰლადადებს სახორციელო პურისათვის, ის ამდენადვე თუ არ მეტად უნდა იღვწოდეს სასულიერო პურისათვისაც. აღამიანი, თუ მთელი ერი იმისათვის-კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს, იმიტომ რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავისი შთამომავალი.

«ვით მამა ზეცის იყავნ შენც სრულია»—თავი და ბოლო აღამიანის ცხოვრებისა. ვის რა მანძილი გაუვლია—ცალკე აღამიანია, თუ მთელი ერი—ამ სისრულის გზაზე, ვინ რამოდენად წინ წამდგარა, ვის რამოდენად აღფრთოვანებული აქვს სულთასწრაფეა ამ გზაზე დაუღალავად სიარულისათვის—ამ საწყაო როგორც ცალკე აღამიანის ღირსებისა, ისეც მთელის ერისა.

ამ თვალთ რომ მოგჩხრიკოთ წარსული წელიწადი, ბევრს ვერაფერს სანუგეშოს დავინახავთ. ეს ახალი ამბავი არ არის. ამ მხრით შარშანდელი წელიწადი ბევრს წინად წარსულ წელიწადებსა ჰგავს და ვერაფერს დაგვამუნათებს. პირ-იქით, კარგად რომ მოვუჩხრიკოთ ავლა-დიდ-

მა, ავი და კარგი, იქნება შარშანდელი წელიწადი სხვა წლების წინაშე უფრო პირ-შავადაც გამოვიდეს. არც საკვირველია. წყარო ცხოვრებისა თავისად და თავისგანთ არა სჩქევს, არა ერთი და ორი ნახირი დღე მუდამ შიგ ფხვს იბანს და რად უნდა გვიკვირდეს, რომ იგი წყარომღვრივა. მბაძს მბაძი არ დაელევავ, ნათქვამია და ჩვენც თვითონაც ჩვენს საკუთარს ქუჩყიან სარეცხს შიგ ვალბობთ დიდის გულმოდგინებით და მოდიოთ წყაროს მოპკითხეთ რატომ წმინდა არა ხარ-თქო.

ამიტომაც შარშანაც, როგორც წინა წლებშიაც, იგივე შური დიდობა იყო გაფრთხილებული. მამა მძას ვეღარა ჰნდობია, მამა შვილსა, შვილი მამას, მეზობელი მეზობელს, მახლობელი მახლობელს, მეგობარი მეგობარს—განა ეს ცხოვრებაა და არა ჯოჯოხეთი!.. ჩვენ ეხლა ისე გავვიხდა საქმე, რომ იმას-კი აღარა ვჩივით რაც გვაკლია, ის შევიძინოთ, არამედ იმას, რომ რა ნაგავმა და მტვერმაც აღგვავსო, ის გავგავოთ და შემოვიბერტყუოთ. კლდე ერთს ღვთის-წყალობა იქნებოდა, რომ ამის დარდსა და ზრუნვას შეეღვამოდით, ცოცხი აგველო ხელში ამ ვაი-ვაგ-ლახის გასაგველოდ. ჩვენდა საუბედუროდ, ვერც ეს შევიძელით. მაშ რით უნდა ვინ-უგეშოთ დღეს, ან სახვლიოდ რა იმედი წავიმძღვაროთ ხალისის მოგვრისათვის? თვითვეული ჩვენგანი ჰკენესის ზნე დატე-მულობისაგან, ჩვენის ზნეობითად წაწყმედისაგან და იმედ-გაღწევის-ლო, სასოება-დაკარგული ვაგებით ვიძახით: ღმერთო, სად მივდივართ და რა ბოლო მოგველისო.

მართალია, ყოველივე ეს ვერაფერი სახალწლო გოზინაყია. ჩვენც, იქნება მეტი მოგვივიდა, რომ ამისთანა დღესაწაფულს ესეთი უღბენი და საგოდებელი ფიქრები ავუშალოთ ჩვენს მკითხველს. ამაზე სხვას აღარას ვიტყვით, თუმცა სათქმელი კიდევ ბევრია. ქართველს კაცს, ჩვენდა საუბედუროდ, საქმე ისე გაუხდა, რომ «კარგი რამ სჭირდეს, უნდა უყვოდეს, ავი კი რა საკვირველია». ამ ყოფაში ჩავარდნილი ერი, თუ მთელი ძალ ღონე არ მოიკრება და ამ საფლობილად არ ამოვიდა, ფონს ვეღარ გავა დღეს, ჩვენს დღევანდელს ქირს ფესვი აქა აქვს გამდგარი, შიში მერმისისა აქედამ მოჰქრის. მოდიოთ და პირში წყალი ჩაიყენეთ და ნურას იტყვიოთ. აქაო და ახალი წელიწადიაო! სატივარა არას უზამს კაცს, თუ მიზეზი თავისი დროზე გაუგოა. თვალზე ხელის მიფარებას თავის დღეში არავისთვის ხეირი არ მოუტანია. ქირი დანახული სჯობს დაფარულსა, თუმცა ორივე ქირია და არც ერთი არ არის სანატრელი.

ამ მხრით წარსულმა წელმა არაფერი სანუგეშო არა მოგვცა-რა არც საღვთისოდ, არც სახვლიოდ. მაგ-

რამ ჩვენ მიერ უმადლოობა იქნება, რომ მარტო წყველით და ქოქვით გავიხსენიოთ ეს წელიწადი და არავითარი კეთილი მისი მადლობით არ მოვიხსენიოთ. ამ წელიწადმა სხვა ფრიგ და სხვა ფარგალში ორი იმისთანა მაგალითი გვაჩვენა, რომლის მზგავს მისებრ უნუგეშო წინა-წლებში ვერას ვიპოვიოთ.

ერთი ის არის, რომ 11-ს სექტემბერს ჩვენ გაღვუხადეთ პანაშვიდი ჩვენს გმირებს, რომელთაც თავი დასდეს მამულისათვის კრწანისში ამ ასის წლის წინად. საქმე თვითონ პანაშვიდი-კი არ არის, არამედ ის მიზეზი, რომელმაც იგი გამოიწვია. საქმე თვით იგი საგანია, რომელსაც ჩვენ ჩვენს თავიანთ ვეცით და რომელმაც გავგახსენა ჩვენთა მამა-პაპათა თავ-განწირული ღვაწლი. ერის დატემა მაშინ იწყება, როცა იგი ივიწყებს თავის ისტორიას. იმისთანა ამბავი, როგორც კრწანისის პანაშვილია, უტყვი მთხრობელია ისტორიისა. მან მოგვავიწა, გავვიხსენა ერთი დიდებული, თუმცა უბედური იპოვია ღვთის-საყვარელი იმისი თუ ვინა ვართ და საილამ მოვდივართ, რა ვყოფილვართ, რანი ვართ და რა ვიქნებით. გინდათ თუ არა, ამისთანა ამბები ამებზე ჩავაფიქრებენ, ამებზე განაღვლებენ, ამებზე მიიზიდავენ თქვენს ქუა-გონებას, თქვენს ძალ-ღონეს სულისას და ხორცისას და ეს აღამიანის აღმა-მატებისათვის კი დიდი საფეხურია.

«სჯობს სიკოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო», უნებლიედ გავგიბრინა ელფასავით ტანში, როცა ჩვენმა უგემურმა ცოცხლად ყოფნამ გავგივთვალისწინა ის სახელოვანი სიკვდილი, რომელმაც გაუთხარა წმინდა საფლავი კრწანისის ვაე-კაცთა. ამ უმადლესის გრძობით გულთა-ძვრა, სულთა-ძვრა ერთ იმისთანა დიდებული წამია, რომელსაც კაცი ინატრებს ხოლმე: «კე და ნუ მომზოდებიაო. ეს ისეთი ყოველ-შემძღვებელი წამია, როცა ჩვენისთანა დაქუცმაცებული ქონდრის-კაცი-კი ერთი ათად ტანს იყრის, ერთი ათად დიდდება და აქამდე ქედ-წახილი ეხლა თავ-მოწონებით ყელს იღვრებს, ტანში იმართება, თავის თავს გოლით ჰგრძობს, ჯანი სულისა და ხორცისა ემატება და კაცი კაცად კეთლად აღვილად საფიქრებელია, რ ბევრი სულ სხვა ახალს გუწენია, დაბრუნდა შინ კრწანისილამ, თანის მკვდარი იყო და გამოცოცხლდა, თითქო აქამდე არ იცოდა ანა არის და ეხლა თავისი ვინა-ბა შეიტყო, თითქო აქამდე ად გაეგო რად გასტრიაონ წარსულს რად ემდურთან აწყყოსა და ეგ შეიგნო. არც ის არის დაუჯერებელი, რომ ყოველ ამისაგან გული მითლად გადმოუბრუნდებოდა. მართალია, ყოველივე ეს ბევრს და-

**სახალწლო სარედაქციო**

გამოვიდა და ისეიღება „ქართველთა ამხანაგობის“ გამოცემა

**ბეგლის**

**კალენდარი**

1896 წლისა

მშენებლის სურათებით ფასი ჰეჭვის შაურა

ვინც ქართველთა ამხანაგობის მალაზიაში ექსპე აბაზის წიგნებს იყიდის (ამხანაგობის მიერ გამოცემულს) ანაზარი მუქ-თად დაეთმობა.

გამოვიდა და ისეიღება ყველა წიგნის მაღაზიაში

ვაჟურ. გუნიას მიერ გამოცემული

**საქართველოს კალენდარი**

1896 წ.

ფასი ათი შურნი.

უმთავრესი საწყობი წერ. კითხვ. გამავრცელ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში. (10—3)

იანვრის 6-ს, 1896 წელს, ტფილისის „კრუეოკის“ დარბაზში გამართულ იქმნება

**ბალი**

ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ ფასი ბილეთისა 2 მანეთი ქალებს შეუძლიანთ გულ-ამოუტყრელი კაბებიცად დაესწრნენ. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ბილეთები ისყიდება „კრუეოკის“ შევიცართან.

ტფილისი, 4 იანვარი.

ცხოვრება ცალკე აღამიანისა, თუ მთელის ერისა უფრო წეწვა-გლეჯის ბაზარია. დღეს ესეა მოწყობილი და რას იზამ? ცხოვრება მართა აღებ-მიცემობაა ერთმანეთის ქუთისა, თუ ხელის ნაწევ-ნაღვაწისა, ნაამაგარ-ნაშრომისა, ნაომარ-ნარბევისა. იგი ის მოედანია, საცა ქიანქველსავით ირევა დიდი და პატარა, საცა მამლარი მშრირებს წვრილად უფხვნის, გამარჯვებული დამარცხებულს ფეხ ქვეშა სთელავს, ძლიერი უძლურს ეტანება შესაქმელად, უძლური ძლიერს გაუბრბის და ორნივე-კი—დამწე-

ლებს აუშლიდა, ბევრს ნაღველს აუჩინდა, მაგრამ იგრძობდა-კი, რომ ეს ნაღველი და ეს დარღვები უფრო მაცოცხლებელი და აღამიანის საკადრისნი არიან, ვიდრე მისი წინააღმდეგი უღარდებლობა და უნაღველეობა.

განა ყოველივე ეს ცოტადა რატომ მადლობით არ უნდა აღვნიშნოთ ამ მხრით მაინც იგი წელიწადი, რომლის განმავლობაშიც ერთი ამისთანა დიდებული წამი გამოვიარეთ. თუ ამ წამმა სამუდამოდ არ გამოგვაკეთა, მცირეს ხანს მაინც კაცნი კაცურად გვაცოცხლა.

არა ნაკლებ დიხს-შესანიშნავია 22 ოქტომბერიცა წარსულის წლისა. ამ დღეს ვიდღესასწაულეთ ორმოცდაათის წლის მშვიდობიანი მოღვაწეობა თ. რაფიელ ერისთავისა, გატარებული სულ სხვა სარბიელზე, სხვა ასპარეზზე. თ. რაფიელი ჩვენი სასიქადლო პატივია. პატივის სიტყვა იგი ხელთ-უქმნელი საგანძურია, საცა ერთი პატივი ხოლომე თვისს უკეთესს ნაზარს და ნაგრძობას, თვისს უკეთესს სულთა-სწრაფვას, თვისს იმედს და სასოებას, თვისს თავმო-საწონებელს გულთა-ძვრას, თვისს ქირსა და ღმირსა, თვისს ენის და მეტყველების სიკეთეს-მშვენიერებას და ერთობ თვისს სულიერს საუფრესს, იმ საუფრესს, რომლითაც ერთი ერობს, აღამიანი აღამიანობს.

ამბობენ, თქმა და ქება ერთი და იგივე არ არისო. მართალია, სიტყვა მზღვარი, მაგრამ თ. რაფიელ ერისთავი ერთი იმისთანა იშვიათ კაცთაგანია, რომლის სიტყვა თავისთავად საქმეა. ეს დიდი მადლი, რომელსაც ბუნება მიანიჭებს ხოლომე თვისთა რჩეულთა და რომელიც თქმას ქებას ჰხდის, თ. რაფიელ ერისთავმა მთლად ამსახურა თავისს საყვარელს მამულსა, თავისს საყვარელს ერსა. იგი ხელთ-უქმნელი საგანძური გაუხსნა და შიგ წყობილი მარგალიტი გულში ჩაუღადა, შენიშნა მიიღო. ჩვენი სანუგეშო და თავმოასწონებელი აქ ის არის, რომ თვითონ ერმაც იცნო თავისი ერთგული შვილი და საქვეყნოდ დიდის ყოფით და ამბით მადლი გადაუხადა. ეს ცნობა და დაფასება იმისთანა მშვიდობიანის ღვაწლისა, რომელიც ბუკითა და ნაღარით არა ჰღადადებს ქვეყნად და ზიზილ-პიილიებით არ იმოსება, იმისი ნიშანია, რომ ერთი ცოტად, თუ ბევრად გონებაშია ჩავარდნილი და იმ გაგებამდე მიხწეული, რომ ამისთანა სარბიელზე დადებული ღვაწლი უფრო მის მიერ საგრძობელია, უფრო პატივ-საცემელია, უფრო მადლობის ადასახდელია. ნიშანი ამისთანა აღაზრებისა უნუგეშო არ არის.

მიტომაც არც ამისთანა დღეობა უფლის ხოლომე ერს უიმისოდ, რომ თვისი თავი კაცურ-კაცად არ იცის და ამ ცნობამ ქვეა და გონება არ გაარჯვინოს, თვლი რატომ თუ ბევრად უფრო არ აახილებინოს თავისს თავზე და თავისს არაშემოხებ და გრძობა საკუთარის ორსებისა თავისს ფარ-ხმლად არ ახილებინოს. ამისთანა ამბებმაც იცის ატება ათასწარი ფიქრებისა, ათასწარი ნატვრისა და სურვილისა და საცა ყოველივე ეს დაძრული და ატეხილია, იქ არის ცხოვრებაცა.

ანად მეტის მდომნი: ეჭვ, ყველა ეს წამი აყო და წავიდაო. იქნება, ჩვენ-და სამწუხაროდ, ეს მართალიც იყოს და ერთს წამს ძირილამ თხემამდე კაცურად დაძრული ცხოვრება ისევ თავისს აღმინდელს უქმსა და უფერულს კვალში ჩაღვა, მაგრამ ამ ცხოვრებით თუნდ წუთიც გვეცხოვრა, ვეცე ჩვენთვის დიდი ღვთის წყალობაა. ჩვენს მდგომარეობაში კაცურად ცხოვრების წუთსაც-კი თავისი მადლი და ფასი აქვს. მართა შეიძლება ამ შემთხვევაში გულის ტკივილით ითქვას: „ჰე წამო სიხარულისავე, ესე სწრაფად რად წარხვედი“, და თუ დანანებას ამისთანა შემთხვევაში აღვლი აქვს, ის უნდა გვენანებოდეს, რომ ყოველივე ეს წამი იყო და წავიდა.

ესეა, თუ ისე, 22 ოქტომბერიც საკმაო საბუთს გვაძლევს მადლობით მოვიხსენიოთ აწ განსვენებული წელიწადი და ლოცვა-კურთხევით ცხონება ვუთხრათ მით უფრო, რომ ამის თქმას ბაჟი არ ადევს. სხვას ნუღარას მოვკითხავთ, თორემ დანარჩენში ეს წელიწადიც ისეთი პირ-შავი გამოვა, როგორც ბევრი სხვა წელიწადი ყოფილა და მით ახალწლის ტკბილ გოზინაში ნუ გავფრვეთ სიმწარეს ბოლღამისას. ეს ბოლღამი უამისოდაც არ დაჰმალავს თავის თავსა და თავის გამოსაჩენად მუშა-დღეებიც ეყოფა: უქმესა და დღესასწაულს მაინც ნუ გავვიწარებს.

### ახალი ამბავი

1895 წელს, 28 დეკემბერს, ტფილისის ამაღლების ეკლესიის მღვდლის მ. გულაბოვისა და ამავე ეკლესიის სამრევლო სკოლის მასწავლებლის ქ-ნ ლაზარევის თანხმობით და შემწეობით გამართულ იქმნა „შობის ხე“, რომელსაც დაესწრნენ: ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი ბ. მახათაძე, სიონის ტაძრის მღვდელი მ. თათიბაძე და მრავალნი სხვანი, მოწვეულნი-პატივისცემი სტუმარნი. საღამოს ლიტურგიატურული ხასიათი ჰქონდა; ბავშვებმა ხელოვნურად წაიკითხეს შესწავლილი რუსული და ქართული ლექსები. ამავე სკოლის მოწაფეთაგან იყო შემდგარი ხორა მთავრის გოდერძიშვილის ლოტბარობით, რომელიც საუცხოვოდ ასრულებდა რუსულსა და ქართულს სიმღერებს. ლექსებისა და სიმღერების შემდეგ ბავშვებს დაურიგდათ საჩუქრები. საღამომ კარგი შთაბეჭდილება იქონია მასწავლებლებზე, რისათვისაც დიდი მადლობელი დარჩნენ როგორც მასწავლებელ ქალის ლაზარევისა, ისე მოწაფეებისა.

მადლობის ღირსნი არიან ქ-ნი ლაზარევისა, რომელიც დაუღალავად შრომობს ამ სასწავლებელში, მღვდელი მ. გულაბოვი და მნათე ამა ეკლესიისა თეთრად თანაგრძობა-შემწეობისთვის და მ. გოდერძიშვილი, რომელმაც დიდი შრომა დასდვა და მცირე ხანში პაწია მოწაფეთაგან მოამზადა ხორა.

1896 წლის 27 იანვარს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია ქუთაისის წიგნების გამოცემელი

ამხანაგობის საზოგადო კრება, რომელსაც განხილული იქნებია: ა) ამხანაგობის ძველი გამგეობისაგან ახალ გამგეობაზე გადაცემული დავთრების და საქმეების მდგომარეობა.

ბ) 1895 წლის ანგარიშის დამტკიცება.

გ) 1896 წლის საგარეულო ხარჯთა აღრიცხვა.

დ) 1894—1895 წლების დივიდენდის განაწილება.

ე) ახალი წევრების მიღება.

\* \* \* „კავკასი“-ის სიტყვით, კიშინევის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე დეისტ. სტ. სოფეტ. ვასილიევი ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებლად დაუნიშნავთ.

\* \* \* გაზ. „კავკასი“-ის ორმოც და ათის წლის შესრულების დღეს, დილის 11 საათზე სამადლობელი პარაკლისი იქმნება გარდახდლი.

\* \* \* სახელმწიფო რკინის გზათა უმფროსმა თავმჯდომარე ინჟინერმა ა. ნ. გორჩაკოვმა შემდეგი დებუშა მიიღო სახელმწიფო რკინის გზათა თავმჯდომარისაგან: „რადგანაც აღნიშნულს ვადაზე იქმნა დასრულებული დაზიანებულის გზის შეკეთება და მიმოსვლა მატარებლებისა უკვე დაიწყო, ვალად ვრაც ჩემს თავს მოგილოცოთ, როგორც თქვენ, ისე რკინის გზის უფროსსა და ყველა მათ, ვინც ამ საქმეში მონაწილეობას იღებდა.“

\* \* \* ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებლის თანამდებობაგს მ. მ. შარიგინსა აქვს მიწოდებული.

### ნ ა წ ე ჟ ე ტ ი . II

...ქამლი გული მაგრად გგქონდა; ვფიქრობდით, მიწა-წყალი ჩვენი, სამშობლო ნიდაგზე ფეხი მაგრად გვიდგას, უძრავი ქონება ჩვენს ხელშია, ქვეყანაც ჩვენ გვეკუთვნისო... მართალია, ღვთის მადლით, ქვეყანა ჯერ-ჯერობით ჩვენია, ხოლო უძრავი ქონება-კი ამიტადა, მოძრაობა დეტყუო, და ზოგი კარგა დიდ ნახტომებსაც შვრება, შანკების წყალობით. კავკასიაში მიწის საკუთრება ჯერ კიდევ არ გარკვეულია; საქართველოს უმეტესი ნაწილი გამოიჯნულიც არ არის; ხშირად მრთელ გვარეულობას საერთო მამულები აქვს. ეგრეც რომ არ იყოს, ისეთი წესწყობილება არსებობს უძრავ ქონებათა შესახებ, რომ რამოდენიმე თვე გაივლის, სანამ მამულის ან ყიდვას, ან გაყიდვას მოახერხებდე, თუ ბანკში არ არის იგი დაგირავებული. რასაკვირველია, ამ გვარ დაბრკოლებას დროებითი ხასიათი აქვს: მართებლობაც და საზოგადოებაც ცდილობს ამ მდგომარეობას ბოლო მალე მოეღოს: მამულები გაიმიჯნოს, შემოსისაღწეროს და უტყუარ საფუძველზე დაემყაროს ყოველი მებატონის საკუთრება. სამოქალაქო კანონდებულების ცვლილებასაც, რომელიც უკვე აქვს მართებლობას განზრახული და დაწყებულიც, ექმნება საგნად შეამციროს ათას ნაირი ფორმალური დაბრკოლება, რომელიც აძნელებს უძრავ ქონების მოძრაობას. ერთი სიტყვით, იმ მდგომარეობას ვუახლოვდებით,

რომელიც ევროპაში დიდი ხანია სუფევს აბორტიკური წიგნების წყალობით. რაკი საქმე იქამდე მივა, მამულის შეკავებას, შერჩენას მხოლოდ ის შექმედებს, ვინც მამულს თვითონ ამოქმედებს, აწარმოებს და მეტს შეაძენინებს, ვიდრე ზედ დაახარჯავს, ვინც ცოდნით იქნება შეარღვეული და მკლავიც მუშაობაზედ ექნება შეჩვეული. ახლა-კი ცოდნაშიაც სუსტნი ვართ, მკლავიც სუსტი გვაქვს. მერამა ნუ ინებოს, რომ ამ მდგომარეობამ დიდ ხანს გასტანოს, თორემ ჩვენისთანა საკლავ და საბრალო ერს მეორეს ვერ მოიპოვით დედა მიწის ზურგზე.

ხშირად გვემის: ქართველობამ დიდი ნაბიჯი წაქსდგა წინაო. უფალმა ინებოს და ვსცდებოდე, მაგრამ ვერ ვხედავ, რაში გამოიხატა ეს დაწინაურება. ეგებ ახლანდელი ჩვენი კრებები ნიშნავდეს ჩვენს წარმატებას? ორატორები ერთმანერთს ეჩხებებიან, თითო ორორ საათობით ლაპარაკობენ, დას-დასად იყოფებიან, თავის კანდიტატის გამარჯვებისათვის სიცრუესაც და სიმართლესაც ერთ ნაირ იარაღად ხმარობენ. ეგებ ეს არის პროგრესი? მე კი ამ გვარ პროგრესს გროშადაც არ ვიყიდი. აქ ისეთი არა არის, რაც წინეთაც არ ყოფილიყოს საქართველოში. კარგი მოლაპარაკე ქართველი კაცი მუდამ ყოფილა და ახლანდელი მქვერ-მეტყველობა უფრო აქრელებულია, ვიდრე უწინდელი. დას-დასად დაყოფაც და ერთმანერთზე გამკლავებაც ხომ ძველი ახმაზია, ჩვენმა ინტელიგენციამ განახლა ის, რის გამოც საქართველო დასუსტდა, დაიღუბა: ერისთავები მეფეს ებრძოდნენ, მატონიშვილები ერთმანერთს, შვილები მამას, კახეთი ქართლს, იმერეთი სამეგრელოს, სამეგრელო გურიას, ერთი გვარი მეორეს და თვით ერთ და იმავე გვარში რამოდენიმე მოპირდაპირე, ერთმანეთზე გადამტყვებული დასები მოიპოვებოდა: ჩხუბს, მტეხობას, ბრძევას საზღვარი არა ჰქონდა. მაშასადამე ჩვენს ინტელიგენციას ამ მხრივაც არა გამოუგონია რა ახალი და ჩვენის წარმატებისათვის არა შეუძენია რა: იმან განახლა მხოლოდ ის, რამაც საქართველო დაასუსტა, დასცა, დაღუბა... ეგებ ჩვენს ქონებრივს მდგომარეობას დაეტყუა დაწინაურება?—მაგრამ ამაზე მეტე მოვილაპარაკო.

დავიწყებული მწერალი.

### ქართველები და ქართული საქმე.

ძველი დროიდანვე საქართველო განთქმული იყო მისი ბუნების სიუხვე-სიმდიდრით. ბერძენ-რომაელთა მწერლების თქმით, უცხოელთა ვაჭრებს ამ ქვეყნიდან ვაჭროდათ პური, აჭარი, სელი, მრავალგვარი მადნეული და სხ. თვით ლეგენდა ოქროს მატყლოსან ვერძის შესახებ მხოლოდ იმის აღმნიშვნელია, რომ მაშინ (მე-12 საუკ. ქრ. წინად) კოლხიდა ფრიად მდიდარი ქვეყანა იყო. საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე აღუნიშნავს ყოველს მწერალს, რომელსაც-კი უმოგზაურია ამ ქვეყანაში. ხოლო ყველაზე დაწვრილებით საქართველოს სიმდიდრე-სიუხვის აღწერას წარმოვიდგენენ ვახუშტი და არჩილ მეფე.

რითაა მდიდარი ჩვენი ქვეყანა? სარბეულეთ (პური, ქერი, სიმინდი, ფეტვი, შვრია, დიკა), სახალხისა და სამაგლო მოსავლით (ყურძენი, ღვინო-არაყი, ლობიო, კომბოსტო, ხილი-ფრუტები, თამბაქო), სეტყუა და სსშენობა მასალით (ტივი, ფიცარი, შეშა), ჯერწმეგან მკენარეულობით (კანაფი, ბამბა, სელი), საღებავებათ (თრიმლი, ენდრა), სურნელოვან ფოთოლ-ყვავილებით (დაფნი, ვარდი და სხ.), მანქნეულით და სასარგებლო მაწითა და ქათ (სპილენძი, ვერცხლი, სამკურნალო წყლები, გაჯი, წითელი ქვა და სხ.), საქანაფითა და მის მოცემულით (მატყელი, ერბო-კარაქი, ქონი, ტყავი, ყველი), სასარგებლო მწკრებათ (ფუტკარი, აბრეშუმის ქია და სხვ. და სხ.

ყველა ამით მდიდარია ჩვენი ქვეყანა. ყოველივე ეს, ჯერ დღესაც მეურნეობის დაბალ ხარისხზე დგომის ეამს, საკმაოდ გვეძლევა ყოველ წლივ; და მიუხედავად ამისა, ყველანი ვიძახით „ღარიბნი ვართო“.


რად უნდა ვიყენეთ ღარიბნი, როდესაც ყველიცა გვაქვს, პურიცა და წარმოიდგინეთ, არა თუ კეთილი გულიც, არამედ სასმელი ღვინოც?

სწორედ იმიტომ ვართ ღარიბნი, რომ კეთილი გულისანი ვართ და მეტის მეტად წინდაუხედავნი. ჩვენი გულკეთილობით ვლუბავთ არა თუ ჩვენს ცოლ-შვილს, არამედ ჩვენს მიწა-წყალსაც. ესაო და ბერძენ-რომაელთა ძველ მწერლებმა შეაქეს ჩვენი სტუმართ-მოყვარეობაო, ესაო და პურ-მარილიანობა ქველობაო, — ვასმევთ და ვაქმევთ ჩვენს ქონებასა და სიმდიდრეს სხვებს—გვარიანსა და უგვაროს; ის-კი გვავიწყდება, რომ, ჯერ ერთი, ბერძენ-რომაელთა მწერლების ეამს ჩვენი მიწა-წყალი ერთი ორად მეტის მომცემი იყო, ვიდრე დღეს იძლევა და, მეორეთაც, ის სტუმრები, რომელთაც მაშინ ჩვენ ვუმასპინძლებოდით, საქართველოს მწე-მფარველნი იყვნენ ხშირად. დღეს-ლა? დღევანდელი სტუმრები მიწის მგლებად გადაგვქცევიან: ვაქმევთ და ვაქმევთ, იგინი სუქდებიან და ჩვენ ბედლები გვიცარიელდება; ვასმევთ და ვასმევთ, იგინი მდიდრდებიან და ჩვენ ქვეყრები გვიცარიელდება.

რად უნდა ვიყენეთ ასეთი ბედოვლათნი? როდემდის უნდა ვიყენეთ სხვის „მწველ ფურად“? როდემდის უნდა ვიტვირთოთ სამართლიანი კვინი რუსეთის მეგავთეთებისა, რომელნიც „Сонливый грузинъ“-ს გვეძახიან?

როგორ უნდა ვუშველოთ ჩვენს თავს?

სწორედ ისრე, როგორც ვის თავს ჰშველოდნენ ჩვენი წინაპარნი. მტერი რომ მოადგებოდა საქართველოს, უკეთესნი მამულიშვილნი შეიყრბოდნენ, შეკავშირდებოდნენ, დაჯრდებოდნენ, მისეოდნენ მტერს, თავზე კაკალს დაამტყვევდნენ და უუქაცევდნენ. ხსნას იგინი ყოველთვი საერთო ძალაში პოულობდნენ. ასრეთი საერთო ძალა საქროა ღვსაც. წინად თუ მტერს ხმლით უსწორდებოდნენ, დღეს ხმალი სრულიდაც საქროა აღარ არის, რომ მოვიოროთ სტუმარ-ვაჭრები. ახლა ვენთვის საქროა მხოლოდ ქუა-ქონების სიფხიზლე, რომ ჩვენი სიმდიდრე ჩვენვე დავგრჩეს.



საქმე ის არის, რომ ძველ დროს ქართველ კაცს სააღმარებლოდ არ ეცალა, თითონ ომსა და ყოველ-დღიურ ვაი-ვაგლას უნდებოდა და ამიტომ ვაჭრობა სხვებს ჩააბარა. ეს-ლა ომიანობა აღარ არის და, მაშა-სადამე, რაღა დაუშლის ქართველს, რომ კვლავი ჩაუდგეს იმ მადლიან საქმეს, რომელსაც ვაჭრობას ეძახიან და რომელიც იმორჩილებს ქვეყნებს-სა და სახელმწიფოებს? სრულიად არაფერი, რადგან ქართველ კაცს ძველადგანვე დაპყრობია ნიჭი ვაჭ-რობა-მრეწველობისა: „პურადობა და ვაჭრობა ქართველს არ ეზრახვისა“, ამბობს ძველი თქმულება.

ვიმეორებთ, დღევანდელს ყოფაში ჩვენთვის ფრიად ხელ-საყრელია ერთ-ურთის დახმარება, ერთ-სულობა, ერთ-გულობა, ნდობა, ერთად ქაპან-წყევტა. თუ კანეთის ცხრა მებატონ-ემ მოახერხა ამხანაგობის შედგენა და საერთო სარდაფის გახსნა, რომ თავისივე ნაწარმოების შემოსავალი თვითონვე დარჩეს, რატომ არ შეი-ძლება, ამავე მიზეზით დაიმართოს:

ა) კიდევ სხვაც დიდ-დიდი საამხანაგო სარდაფები.

ბ) მატყლისა, ყველისა, ერბო-კარაქისა და სხ. საწყობი და სავაჭრო სახლები.

გ) ხე-ტყის ჩამოსაზიდი და სავაჭრო სადგური.

დ) ხილურობისა და ბოსტნეულის ამხანაგობა და სხ. და სხ.

იტყვი, მაგის გასაძღვლად და პირველ ხანში მოსაწყობად სად ვი-შოვოთ ფულიო. გული გულადღეს, თორემ ფული ყოველთვის იშოვება. განა პური, ღვინო, მატყლი, ერბო, ყველი, ხე-ტყე, ხილი და სხ. იგივე ფული არ არის? თქვენ მიბრძანეთ თაოსანი და თაოსნები, თორემ ს-ქართველოში ფულიანიცა და პური-ანიც ცოტა არ არის.

ბ-ნი აღხაზიშვილი ეხლახან „ივე-რიაში“ სწერდა: ერთს თუშს, რომელსაც 6,000-მდე სული ცხვარი ჰყავდა, ცხვარი დაეფრთხო, კლდეზე გადაუცივდა და სულ დაეღუპა ამო-დენა ფარაო. მისმა ამხანაგმა თუშე-ბმა ფიცხლავ ოჩხარი გაუმართეს, მო-უგროვეს 1,200 სული ცხვარი და ჩააბარეს ხსენებულს თუშსაო და და-ღუპული კაცი ისევ ფეხზე დააყენე-სო, — არა მგონია, რომ ამისთანა კ-ცებმა ვერ შეიგნონ სარგებლობა სა-ერთო სავაჭრო სახლის გაჩენისა თა-ვისისავე ნაოფლარის გასანადგუ-ლად.

ვიმეორებთ, ვინც დღევანდელს ჩვენს ვაჭრობებს გაუძღვება და შე-აკავშირებს ქართველ მრეწველთა ძა-ლას, იგია ჩვენი სარდალი და მის მხოლოდ ჰმენის „თავადობის“ წო-დებმა. ერთი ყველასთვის და ყველს ერ-თისთვის, — ეს უნდა იყოს დღეს ჩვე-ნი თქმა და საქმე.

მ. გიორგიძე.

**უცხოეთი**

**გერმანია.** მიუხედავად იმისა, რომ ინგლისი ბოლოს დროს ომის მზადებაშია და ინგლისური გაზეთე-ბი მტრად გაჯავრებულისა და მრისხან-ე კილოთი ლაპარაკობენ გერმანიის შესახებ, ბერლინი დაბეჯითებით ამბობენ, ომი არ იქნება და საშიში არა არის-რაო. ბერლინის გაზეთები

„ფოსიშე ცეიტუნგ“ და „კელნიშე ცეიტუნგ“ იმ აზრისა არიან—მშვი-დობიანობა არ დაირღვევაო.

**მსახინია.** ჯერ-ჯერობით გამარჯ-ვება ისევ კუბელთ მხარეზეა. ამას წინადა დღეში იტყობინებოდნენ, რომ აჯანყებულებმა აიღეს მოროს ქალაქიო. ახლა კუბის დედა-ქალაქს — ჰავანასაც — გარს შემორტყმინ. თუმცა ჰავანა ესპანელების მეცადი-ნობით ძალიან გამაგრებულია, მაგ-რამ ამბობენ, აჯანყებულნი ჰავანა-საც აიღებნო.

**ამერიკის უმართავი შტა-ტაბი.** როგორც ამერიკის გაზეთების ინგლისელი კორესპონდენტები იუწყებ-იან, სოლსბერი ახლა გამოტყდა თურმე, უმართებულოდ მოვიქეცი, რომ მივიღე ამერიკის შუამდგომლო-ბა ვენესუელას საზღვრების დადგენი-ლების შესახებო. ინგლისის საზო-გადოებაც, თუმცა ამ უამად მარტო ტრანსვალის საქმეებზე ლაპარაკობს, მაგრამ ვენესუელას საკითხავში ლა-მის ამერიკელების შეხედულებას და-ეთანხმოსო.

წარსულ შაბათს კლიველენდმა ხელი მოაწერა იმ პროკლამაციას, რომლითაც უტახას ტერიტორია შტატად უნდა ჩაირიცხოს. ეს ქვე-ყანა, როგორც უკვე ცნობილია, დასახლებულია მოკომინებით. ამიე-რიდან შტატების რიცხვი 45 იქმ-ნება.

**შურნალ-გაზეთები და წიგნები**

ამოკრებილი ამბები.

— მწერთა შორის ყველაზე უფრო გო-ნიერი და მშრომელი ჯიანჭველაა. მეცნი-ერთა, რომელთაც გამოუჩნრვიათ ამა მწე-რის ცხოვრება და ვითარება, დიდი ხანია აღმოაჩინეს ამ საკვირველის ჰის საზოგა-დოებური წეს-რიგი და წყობილება. ჯიან-ჭველებს ჰყავთ თავისი ჯარები, თავისი გა-მგებლნი, არის მათ შორის ბატონ-ყმობა, აქვთ თავისებური მიწათ-მოქმედება, ინახვენ და ჰზრდიან ერთ გვარს ბალახის ტილსა, როგორც ჩვენ ვინახავთ ძროხას, სწველენ და ნაწველით იკვებებიან და სხვანი და სხვა-ნი. დღეს ჩვენ ყოველს ამას ვერ გამოვუღ-ვებით და მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ჯიანჭველებს თავისი ინჟინერებიცა ჰყოლი-ათ. ამ ბოლოს დროს მსწავლულს და მეც-ნიერს მელლერს, რომელსაც უკვლევია ვი-თარება და ცხოვრება ჯიანჭველისა, შეუნიშ-ნავს სამის ჯიშის ჯიანჭველა. ამ სამში მარტო ერთი ჯიშია მტრად შესანიშნავი და ამ ჯიშისა ჯიანჭველაა. ტერიო-მზიდავი \*) მიღებრა აღმოაჩინა საოცარი გონიერება ამ ჯიშის ჯი-ანჭველებისა. ტერიო-მზიდავი ჯიანჭველა თურმე ხეზე ადის, სტრის ფოთოლსა, პირში იჭერს მონაჭერს და ისე მიიჭებს ბინაზე, საცა ბალახით რაღაცა იკვებეს. ამ ფოთოლს ჰშლის და ზედ მოჰყავს ერთნაირი სოკო, რომელსაც საკმელად ჰხმარობს. ამაზე ჩვენ წინადაცა ვსთქვით ორიოდ სიტყვა „ივე-რიაში“. ხოლო მიღებრა ამას ისე არ გაუვიწყრებია, როგორც იმ მოხერხებას, რომელიც ჯიანჭველისათვის შეუძინებია სხვა მხრით. ხშირად ჯიანჭველა იძულებუ-ლია ოთხასი ადგილ მანძილი გაიაროს ხიდაშ, საცა ფოთოლსა სტრის, ბინამდე. მონაჭერი ფოთლისა, რომელიც ჯიანჭველას პირში უჭირავს და მიიჭებს ერთი საამად მძიმე ოვი-თონ ჯიანჭველაზე. ამისთანა ტერიოთ პირ-ში ჯიანჭველას მტრად უნდა უშნებოდო-დეს სულა, რადგანაც გზაზე ოღრო-ჩოღროს და ბალახებს უნდა არიდოს და ამისათვის ამ სიმძიმე ტერიოთ მალა უნდა ეჭიროს და ისე მიჰქონდეს, რომ არაფერს მოსდეს და არ დაბრკოლდეს. ხერხიან ჯიანჭვე-  
\*) მიღებრა ასე ასახელებს ამ ჯიშის ჯიანჭველას.

ლას ამის წამალი უპოვია. თურმე ნუ იტ-ყვი, ჯიანჭველანი ჯერ მინამ ფოთლის ზიდას დაიწყებენ, გზას იკვებენ, მერე რო-გორ გზას? ადამიანსაც შენატრება. ტერიო-მზიდავი ჯიანჭველანი ძალიან ხერხიანი მი-წის-მთხრელები თურმე არიან. იგინი თურ-მე სთხრან გზისათვის მიწას, ასუფთავებენ, აუკებენ და სტკეპნიან გზას, ნათხარს გზის ორისვე პირას ჰყრიან და კვლავსავეთ გზის პირებზე აყავთ. ეს კიდევ არაფერი. თუ გზა გაყავთ ღია ადგილზე, მაშინ ზე-მიდან თანდა და კამარას შეგჭრენ ხოლმე, და ამ სახით გზა დახურულა.

ამ თაღებს და კამარებს ისე ოსტატურად აკეთებენ თურმე, რომ კარგი ხუროთ-მოძ-ღვარი და ინჟინერიც ვერ დაუწუნებს. ამ თაღებს ზე კამარებს დიდხანს უნდებიათ ღ-უნ-და ჰნახოთ, თურმე რა სიფრთხილით და მოთ-მინებით ხან აქედ ატრიალებენ, ხან იქით მიწის სორსალს, ან ქვიშის მარცვალს, რომ უფრო სახერხულად და მკვიდრად თავისს ადგილას დასდონ და გაამარონ. ასეთის ჯადოთ და შრომით ნაკეთებს გზას მაინც, რა თქმა უნდა, ყოველთვის წახდნის შიში აქვს. წვიმა, ნიაღვარი, პირუტყვისა და ადამიანის ფეხი ხშირად აქცევს და აფუტებს. ამიტო-მაც თითქმის ყოველთვის ითხოვს შეკეთე-ბას, ხელახლად ამოშენებას და სხვა ამგე-ვრებს. ამისთანა რემონტისათვის საკუთარი გზის-მკეთებელნი მუშები ჰყავთ, რომელთაც ვალად არ ადგეთ ფოთლის ზიდა და მარტო გზის სასიჯჯად წამ-და-უწუმ დაბრინ. წახდება თუ არა გზა, ტერიო-მზიდავი მაშინ-ვე აირევ-დარევიან, მოჰყვებიან უილაჯო-ბით აქედ იქით ტრიალს და სირბილს და არ იციან რა ჰქან და როგორ გაიტანონ ტერიოთი, მაგრამ მყისვე მოკვივდებიან გზის-მკეთებელნი, ჰნახვენ და ამოწმებენ სად რა არის წახდენილი და მაშინვე მიესვენან და დაიწყებენ მედრად წახდენილის კეთე-ბას. ყოველის მხრით მოკვივდებიან სხვა მშველელნიც და ნახევარ საათის განმავლო-ბაში გზა მზად არის ხოლმე (რ. მ.).

ნეტარი ზოგიერთს კაცს ასე გაგებული ჰქონდეს კაი გზის საკვირება და ისეთი ზეჯითობა ემაღლებოდეს მისის კეთებისა დე-კარგად შენახვისა, როგორც იმ ჰაწია მწერ-სა ჰქონია, რომელსაც ჩვენ ჯიანჭველას ვე-ძახით.

**ხალხის ბარდმოცევა თიანეთში.**

როგორც საზოგადოდ ყველა და-ბლობი ადგილები საქართველოშია, ისე თიანეთიც გარშემორტყმულია დაბურულ ტყით, მაღალ გორებითა და მთებით, რომლებიც ჩრდი-ლოეთის მხრივ საკმაო დიდ სიმაღ-ლეზე მიაღწევენ. საერთოდ აწინ-დელ ხალხის საბინაო ალაგებს ქართლ-კახეთში ასეთი ისტორიული ელ-ფე-რი სძევთ: იშვიათად შეხედება ადამი-ანი ახლანდელ სოფლების ახლო-მხლო მალაობ ადგილებს, რომ წარსულის ცხოვრების კვალი არ ემ-ჩნოდეს—სასაფლაო-აკლამები, ძვე-ლი ტ-ძრები, ციხეების ნანგრევები, ნასოფლაო-ნასახ-კარები არ ეტყობო-დეთ. თუმცა ეს ასეთი, თუმცა კაცის თვალი ამას ცხადად ჰხედავს, მაგრამ ის-კი ძალიან სამწუხაროა, რომ ყუ-რით იშვიათად რასმე გაიგონებს იგი ამ ძველის-ძველ ხალხის კვლზე, იმათ ბინადრობაზე, თუ ვინა სცხოვ-რობდა აქ და როდის? რა აზრით დასახლდა და ააშენა მკვიდრად სო-ფელი მალაობ ადგილზე? ბოლოს, რამ აიძულა იქილამ აყრილიყო, კლდესავით მთავარი შენობებისათვის თავი დაენებინა და ძირს, დაბ-ლობზედ ჩამოსახლებულიყო? ამის პასუხად, ნამდვილის ისტორიუ-ლი ფაქტის მაგიერ, აქა იქ ხა-ლხში მოჰკრავს კაცი ყურს ერთსა და იმავე აზრს, რომ დაბლობი და დატყეული ადგილები წყალსა სჭე-რია იმ დროსაო, რის გამოც ხალხი მალაობებზე ბინადრობდა... თი-ანეთიც, როგორც დაბლობზე გაშე-

ნებული სოფელი, ექვემდებარება ზე-მოდ ნათქვამს თავისის გარს შემორ-ტყმული გორებით, რომლებზედაც არა ერთსა და ორს ძველს ნანგრევს შეხვდებით. თიანეთზე და იორზე, რომელიც სოფელს გვერდზე ჩაუდის, ხალხი შემდეგს გადმოგვცემს: უხსო-ვარს დროში თიანეთის ვაკე-მიდამო პირისპირობამდე ტბასა ჰყვრია, ხალ-ხი-კი გორებზე სახლებულა. ერთ-ხელ ერთი დიკვანი თურმე ტბის პირ-პირ მიდოდა; ტბიდან შემო-ესმა წყულებს ლაპარაკი: ამ ხალხმა რომ იცოდეს—ტბა დაშრება, თუ დედის ერთა არჩეულ ქალ-ვეთ ამ ტბის პირზე დახოცენ, ხომ მაშინვე დასახლებოდაო! დიკვანმა ეს ამბა-ვი ფიცხლავ სოფელში გააქანა. წყე-ულები გამოვიდნენ, დიკვირეს და დიკვანს ენა მოსტკრეს. სოფელში რომ მივიდა, ლაპარაკი-კი აღარ შე-ედლო, ქალაქზე დასწერა წყეუ-ლების ნამბობი. ხალხმა მაშინვე მოძებნა და გამოაჩნია დედის-ერთა ვაჟი იოანე და დედის-ერთა ქალი თინათინა, ჩამოიყვანა ტბის პირზე, დახოცა და უსულლო გვემები ტბას მისცა! ტბა აღელდა, მიინძრ მიინძ-რა, იპოვა სუსტი მხარე, გაანგრა და გავიდა. ამის შემდეგ დარჩა ახ-ლანდელი თიანეთის მიწდორი, რომლის შუა მდინარემ დაიწყო დენა. ხალხი მალაობებიდან ვაკეზე ჩამო-ვიდა, მდინარის ნაპირზე თინათინის სახელზე სოფელი თიანეთი გა-შენა, ხოლო მდინარეს იორამის სახელზე იორი უწოდა.

ფშავლიშვილი.

**წმირილი ჩედაძის მიხარა.**

თუმცა სსკ-და სსკ ვარემოება ჩვენ ნაგომრებს სელს გვიწოდება, რომ წიგნთ-საცავი დაგვეარსებინა, მაინც წლე-ვანდამდე არა თუ წიგნთ-საცავი არა გვექონდა, არამედ იშვიათად შეხედებოდა აქ რომელსამე ქართულ გაზეთსაც-კა. წი-ნედ გურამის სახალხო წიგნთ-საცავის დამაარსებლებს სასეში ჰქონდათ დ. ნა-გომარი, როგორც საშუალო ალგვი გურამისა, მაგრამ შემდეგ რაღაც გაკე-მიკებას მიხეზათ ეს წიგნთ-საცავი დაარსებულ იქნა ს. აკეთში. ამნაირად დაგვიჩვენებენ ნაგომარი მოკვლეული იყო ამ განუბრავს საღაროს—წიგნთ-საცავს. წელს-კა როგორც იყო, აქა-ურმას ახლ-თავაობამ ადგილობრივის გა-ჭრების დასმარებით დაარსა წიგნთ-სა-ცავი საშეთსკელოთურთ. მტრადი თა-ნისა შეგებილი, აქვე ნაგომარში, მო-განდამეთ წიგნთ-საცავის მწეობას და ქართულ რუსულ გაზეთების შექმნას. წიგნები ვერ-ვერობით სრულიად არ მოკვებოება ჩვენის სიღარბისა გამო და ამიტომ სრულებით ვერ ვაქმავთე-ლებთ მეთესკელთა სურვილს. იმედაი პატრიარქული საზოგადოება თანაკვი-გრძობას ამ კეთილს საქმეში და შემ-წეობას აღმოგვიჩენს ან ფულით, ან წიგნებით; აგრეთვე ვსთხოვთ ყველს ქართულ სტამბების მუხატარაებს და სსკ-და-სსკ დაწესებულებათ და ამხანა-გობათ, რომ აღმოგვიჩინონ რამე სა-შუალება და მოგვეწოდონ თითო-ორ-ლა წიგნი. ვინც კეთილ-ინებებს, შემო-წარულება გამოგვსავება ამ ადრესით: **Озургеты, въ Нагомарскую наро дную читальню съ библиоте-кою.**

უგულითადეს მადლობას ვსწირავთ იმათ, რომელთაც არ დაიშურეს თავი-

ანთი წვლადი და შემოსწირის სსკ-ბუღს წიგნთ-საცავს:

ნაგო ბაგდაშვილმა 5 მან., სოლო-მონ ინჭიკრეკელმა 5 მ., გრიგოლ გუ-გუნაშვილმა 3 მ., მღვდ. სოლომონ ანდუ-ლაშვილმა 3 მ., ალექსი ნაგოლაშვილმა 3 მ., ანდრას ანდულაშვილმა 3 მ., ანტონ მელაშვილმა 3 მ., (ამავე მელაშვილმა ერთის წლით უფასოდ დაგვიტოვა სახლი წიგნთ-საცავისათვის) ივანე კომპატიშვილმა 2 მ., ბუგაშვილმა 2 მ., დათა გო-გობაშვილმა 2 მ., ლადიგო ზატეშვილ-მა 2 მ., სიმონ ტროტაშვილმა 2 მ., მახვარე ბუგაშვილმა 1 მ., 40 კ., ივანე ან-დულაშვილმა 1 მ., სილოვან თაღაკაშვილმა 1 მ., საჩიტონ კვარაცხელია 1 მ., 50 კპ., ალექსანდრე ცქიტიაშვილმა 1 მ., გაიოზ დოლოძემ 1 მ., გაიოზი ქვათა-რამე და დამ. მსაიქემ 1 მ., საძმს მსაიქემ 2 მ., მახვარე სალუქაშვილმა 1 მ., ლადიგო ბურეკიანმა 1 მ., დათა ნაგო-ლაშვილმა 1 მ., სხვა მეკლამე 1 მ., ანდრას მსაიქემ 1 მ., ანისიმა წელა-შვილმა 1 მ., სტეფანე მსაიქემ 60 კ., სე-რაფიონ თახტაშვილმა 50 კ., კოწია ალექ-შვილმა 50 კ., სოფრომ სამხანაშვილმა 40 კ., ესე ქუარაშვილმა 30 კ., და სულ შესდგა 51 მ. 20 კპ.

აგრეთვე დიდ მადლობას ვსწირავთ „ივერიაში“, „გაქალს“, „გაქალისა“ და „ნაგო ობოზრანიის“ რედაქციებს, რომლებმაც დიდი შემწეობა აღმოგვიჩინეს მით, რომ უფასოდ დაგვიტოვეს თავიანთი გაზეთები ერთის წლით.

დამარხებულნი ნაგომარის სახალხო წიგნთ-საცავისა და სამკითხველოსი თ. გრ. გუ-გუნაშვილ, დ. გველაშვილი, მღვ. სოლომონ ანდულაშვილ, სოლომონ ინჭიკრეკელი და ფერ. ანტ. მეღვია.

1895 წ. 21 ქრისტეს.

იმ საუკუნეების ასაცილებლად, რომ-ელიც მკსმის მრავალთაგან თავ. რ. ერისთავის იუბილეის გამო, უმორჩი-ლესად გთხოვთ დამბეჭდათ ეს წერი-ლი. საქმე ის დრას, რომ პატრიარქ-ული რწე. ერისთავის საიუბილეო დღე-სასწავლის დროს საქართველოს ყველს გუთსებებიდან და ბირთავან ჩემს სასე-ლასზე გამოგვჩვენებოდა იყო სამრამ-დე მისალოცი დეპუტები, რომლებიც გადაგვიცა გზაზე კომიტეტს. ყველას გესურდა, რომ ეს დეპუტები და აგრე-თვე სხვებიც მრავალი წაითხულ ეო-ფადიყო დღესასწაულის დროს, მაგრამ ორსსე მეტი დეპუტების წაითხვა კო-მიტეტმა შეუძლებლად დაინახა, რა-დგან დღესასწაული ისედაც ნაშუადღე-ვის 4 საათზედ გათავდა და პატრიარქ-ული იუბილარი ძრეელ მოიდალა. ყუ-ვლს დეპუტები გამოეკომიტეტმა გადასწა-თეთ იუბილარს, ზოგი მათგანი დაიბე-ჭდა, ხოლო უმრავლესი დეპუტები რა-ტომ არ დაიბეჭდა—გვ მე არ ვადი. \*) თქვენი პატრიარქული ვლერიან გუნი. 31 დეკემბ. 95 წ.

**სამართვლოდ თავადნი.**

თავადნი ვამაგურთან-ორბუიანინა. ოსმალებთა სულთანის აქმედ ხანის ფირმანში 1622—1623 წლისა მდიან-ბეგი, ერისთავი ლუარსაბი და ძმანი მისნი ქაიხოსრო და ფარსადან ვაფლან-ის შვილნი ორბუიანინი თავადებად

\*) ჩვენ უკვე გამოვეცხადეთ, რომ „ივე-რიაში“ დაიბეჭდა სია ყველა დეპუტათა, რომელიც გადმოგვცა იუბილარმა და აგრე-თვე რომელიც თვით რედაქციის სახელზე მოვიდა.

რედ.

აჩიან წაღებულნი.

თავად წამაგურებან-არბუჯიანთა გუბერნიისა და მთავრობისა თავადთა სააშენი მისსენსებულო, რომელსაც შეეფასა ურჯულე II-ის მიერ 1783 წელს რუსეთის მთავრობასთან შეკრულს ტრაქტატსა აქვს შედ დაწოთუა.

7 მარტს 1826 წელს უმაღლესად დამტკიცებულს სასჯელმწიფო საბჭოს განჩინებით თავადებად ცნობად და V გუბერნიისა სააშენი შეტასად აჩიან თავადნი წამაგურებან-არბუჯიანნი: 1) კოლექ. სოკეტ. შუკაბ-დამბარა ნიკოლოზის ძე და შვილი მისნი: გიგოლაი ზაქარია და ილია; 2) ზოდოლა-კოვნიკი ასლან ნიკოლოზის ძე და შვილი მისი ყაფლანი; 3) ავაბა და სმარგოლ ნიკოლოზის ძენი; 4) ზოდ-ზოდოლაი ლუკასაბი და ზოდზოდოლაი დავით ავაბის ძენი; 5) ჭიანჭოს გიორგის ძე და შვილი მისი მისეილი; 6) ალექსანდრე და ანტონი გიორგის ძენი და 7) ზოდზოდოლაი კოსტანტინე და ესტატე იოსების ძენი.

უმართებულსა სენატის დადგენილებით 22 დეკემბერს 1848 წელს, 13 აპრილსა და 12 ოქტომბერს 1849 წელსა და 28 ნოემბერს 1851 წ. ამ განს შეუერთდნენ თავადნი წამაგურებან-არბუჯიანნი: 1) იოსება, ავანე და გიორგი კოსტანტინეს ძენი; 2) ავანე და ალექსანდრე ესტატეს ძენი და 3) ავანე და ალექსანდრე დავითის ძენი.

# დეკრეტი

(რუსეთის დეკრეტი სააგენტოსაგან).

1 იანვარი.

**კამერა-სტრუქტურა.** უმაღლესი ბრძანება ფინანსთა მინისტრის მიმართ: „ვისტანთ-რა სასარგებლოდ თანახმად თქვენის წინადადებისა, რომელიც კერძო კომიტეტში იქმნა განხილული და რომელიც შეეხება მას, რომ დასახურდავებელი ფონდი გაძლიერებულ იქმნას, რათა ამით უზრუნველ იქმნას სახელმწიფოში ხმარებულ ქალაქის ფული, ვბრძანებთ მიეცეს ხსენებულს ფონდს 50 მილიონი მანეთი ოქრო სახელმწიფო ხაზინიდან“.

დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ იქმნა დამტკიცებული ამ 1896 წლისათვის.

სახელმწიფო საბჭოს დეპარტამენტების თავმჯდომარეებად ამ 1896 წლის პირველ ნახევრისათვის ისევ ძველი თავმჯდომარეები იქმნენ დატოვებულნი.

სახელმწიფო საბჭოს წევრებად დანიშნულ იქმნენ შამშინი და ტერენი.

**ბერლინი.** ამერიკის სესხისათვის გერმანიის სინდიკატმა 15 მილიონ ამერიკ. დოლარზე მოაწერა ხელი.

**ლონდონი.** ნამდვილად ამტკიცებენ, ინგლისის მინისტრთა უმეტესობამ ის აზრი გამოსთქვა, საბჭოში, რომ ინგლისმა სრულიად უარი უნდა სქვას სამთა კავშირზე. ჩემბერლენს ხალხი საბჭოს დარბაზიდან გამოსვლის შემდეგ დიდს ამბით მიეგება.

უელსის პრინცი ახალშენთა სამი-

ნისტროში მოვიდა რჩევისათვის.

გუბერნატორმა კაპლანდ რომინ-სონმა სთხოვა კრიუგერს, რათა მას რეფორმათა კლუბის წევრთათვის ებატებინა.

**პრემიერია.** ჯემსონის გუნდში მყოფნი ჯარის-კაცი ნატალიას საზღვარზე იქმნენ ვაგზავნილინი. ოფიცრებიც მალე წავლენ იქ და შემდეგ სხვებთან ერთად ინგლისში იქმნებიან გადაყვანილინი.

ითხოვეს ნება-რთვა სასამართლო-საგან, რათა საკუთრებაზე მეტრონობის უფლება შეუზღუდონ იმ 64 კაცს, რომელნიც სარეგულირაციო მოძრაობაში მონაწილეობას იღებდნენ.

**ილკანდისპაშა.** კრიუგერმა მიზმართა მოქალაქეთ და დახმარება სთხოვა ხელი შეუწყონ რესპუბლიკისეთ მხარედ გარდაჭენას, სადაც ყველა ეროვნების ხალხთ ძმურად შეეძლოთ ცხოვრება. პასპორტებს ისევ აძლევენ. ბოგრებს საბრძოლად აღარ იწვევენ.

**კაპიტალიზმი.** რეფორმათა კომიტეტის წევრი და ტრანსვალის კავშირის პრეზიდენტი ჩარლს ლეონარდი სახელმწიფო ლალატში ბრალდებისათვის დაპატიმრებულ იქმნენ.

2 იანვარი.

**კამერა-სტრუქტურა.** 1-ლ იანვარს მათ უდიდებულესობათ საზამთრო სასახლის ტაძარში მოისმინეს ლეთის-მსახურება. ლიტურგიას დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, დიდი მთავრინანი და დიდი მთავარი. ლეთის-მსახურების შემდეგ მათ უდიდებულესობათ მიიღეს მილოცვა ეკლესიაში; აქ მიულოცეს უწმიდესი სინოდის წევრებმა და უცხოელმა ეპისკოპოსებმა, ხოლო სადილობატო კორპუსის წარმომადგენელთ მიულოცეს გიორგის დარბაზში. ხელმწიფე იმპერატრიცას ალექსანდრა თეოდორეს ასულს კარის-კაცთ და ქალაქის საპატოი ქალღმბა ნაშუადღევს 2 საათზე მიულოცეს. მათ უდიდებულესობათ შემდეგ მიიღეს მილოცვა ხელმწიფე იმპერატორის აპალაში მყოფთაგან, კარის-კაცთა და ქალაქის მოხელეთაგან.

**როში.** გაზ. „ტრიბუნა“ ამტკიცებს, რომ აბესინელთ მართლა დიდი ზარალი მოჰსვლიათო. აბესინელთა ბანაკში ხმა გავრცელდა, ვითომ რასმანგაშა მოეკლათ. 27 დეკემბრის იერიში თვით მენელიკის ჯარების ნაწილმა მიიღო მონაწილეობა. აბესინელთა გასამხრეველად იერიშის დროს ხმა გავრცელდა, რომ მაკალეში მრავალი სიმდიდრეა შენახულიო. ამბობენ, 27 დეკემბერს იერიშის მიტანის დროს თვით დედოფალი ტაიტუ უნდა გასძლიოდა ჯარებს, მაგრამ ბრძოლის ველს გარეშე დარჩა იგიო.

**მილანი.** სამხედრო გაზეთები ამტკიცებენ, რომ აუცილებელია მაკალეს ციხე-სიმაგრე დაპირილიდებ, რადგანაც წყალის ნაკლებობა მეტად

აწუხებთო. „იტალია“ მილიტა“-ე ამბობს, რომ იტალიელი გაქცევილნი ცივი ვერ დააღწევენ თავს მაკალედანო.

**ლონდონი.** აქ მოვიდა ბელგიის მეფე.

**სოფია.** „ბალკ. სააგენტო“ იუწყება, რომ აქაური გამეგ ოსმალეთის საკომისაროსი ნებელ-ბეი თანამდებობიდან იქმნა დათხოვილიო. როგორც ხმა ისმის, მის ადგილას ბულგარიის ქვეშევრდომად ნამყოფი ნიძიბეი იქნება დანიშნულიო.

**ვაშინგტონი.** სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ გამოსთქვა აზრი, რომ კონგრესის მხრივ მონროეს დოქტრინას მხარი უნდა დაეჭიროსო და დანიშნა ახალი კომისია, რომელმაც ამ რიგად უნდა დაადგინოს თავისი გარდაწყვეტილება.

2 იანვარი.

**კამერა-სტრუქტურა.** პირველ შინაგან მომგებთან სესხის უმთავრესნი მოგებანი დღეს მომხდარ ტირაჟისა.

№№ სერია.	№№ ბილ.	მიწება.
823	30	200,000
3412	8	75,000
1159	20	40,000
13929	45	25,000
2076	42	10,000
6301	11	10,000
6855	4	10,000
18023	3	8,000
9916	28	8,000
14501	31	8,000
4561	9	8,000
12468	10	8,000
18629	38	5,000
18366	48	5,000
18674	2	5,000
10859	7	5,000
4621	36	5,000
4504	6	5,000
9599	46	5,000
15371	49	5,000
293	2	1,000
1397	36	1,000
4076	35	1,000
8944	38	1,000
416	26	1,000
11349	30	1,000
4905	28	1,000
5133	38	1,000
10687	29	1,000
12801	43	1,000
18303	37	1,000
8024	9	1,000
7552	23	1,000
8650	50	1,000
6803	3	1,000
10904	19	1,000
2208	41	1,000
17787	27	1,000
15040	23	1,000
3950	33	1,000

**კამერა-სტრუქტურა.** შეცდომის გასწორება ტირაჟში: ორმოცი ათასი მან. მოგება ხვდა ბილეთს სერ. 11159/20 და არა 1159/20

**ბერლინი.** გუშინ, ახალწელიწად

დღეს, ძველის სტილით, იმპერატორი ვიზიტად იყო რუსეთის საელჩოში.

**სოფია.** პრინცი ფერდინანდი დღეს საზღვარ-გარეთ წავიდა.

3 იანვარი.

**კამერა-სტრუქტურა.** 11 იანვრისათვის საზამთრო სასახლეში ბალია დანიშნული.

ქალაქის თამაშობაში 2 იანვარს ლასკერმა სტენიცი მოუგო, ხოლო ჩიგორინმა—პილსბერს.

**კიევი.** კიევი დაარსდა სალიტერატურო-საარტისტო საზოგადოება, რომელიც 150 წევრისაგან შესდგება. საზოგადოებას აზრად აქვს შეერთდნენ ლიტერატორნი, მეცნიერნი, მხატვარნი და არტისტნი და ერთმანეთს დახმარება აღმოაჩინონ.

**ბერლინი.** „ბერლ. ტაბლატ“ ი ამბობს: „Chartered Company“-ს დაარსების ისტორია რომ გამომეღვენდებოდეს პანამის საქმეზე დიდს არეულობას და ალიაქოთს გამოიწვევსო. როგორც ხმა ისმის, ბევრი ინგლისელი დეპუტატი სცდილობს ჩემბერლენი მიიმხრონ და ამ საქმის შედეგი როგორმე ჩაუშვონო.

**ბერლინი.** ინგლისის ზოგიერთა გაზეთების მიერ გავრცელებულის ამბავის შესახებ, ვითომ გერმანიას ტრანსვალის საქმის გამო ბოდიში მოეხადოს, როდესაც მას თავისი ახსნა წარუდგენია, ჩრდილოეთ-გერმანიის საყვებლთაო გაზეთი ამბობს, რომ ასეთი ახსნა გერმანიის მთავრობას სრულიადაც არ მიუციაო.

**ვენა.** სოფილი იუწყებიან, რომ სტოილოვს განზრახვა აქვს თანამდებობას თავი დაანებოსო. მის მოადგილედ გრეკოვს ასახელებენ.

**ლონდონი.** ინგლისის მთავრობას სურვილი აქვს ვენესუელასაგან სყიდვით შეიძინოს სადავო ადგილი და შეერთებულს შტატებს ურჩევს რაც შეიძლება მეტად შეავიწროოს ვენისუელა, რათა ამით აიძულოს და ხსენებული სადავო ადგილი ინგლისს დაუთმოს.

**ვაშინგტონი.** ჩრდილო ამერიკის მთავრობის შუამდგომლობისა გამო კაპის ახალშენის გუბერნატორს მინდობილი აქვს იმ ამერიკელ მოქალაქეთ, რომელნიც ტრანსვალის აჯანყებაში მონაწილეობას იღებდნენ და ადგილობრივ მოხელეთაგან დაპატიმრებულ იქმნენ, ისეთივე მფარველობა გაუწიოს, როგორც ინგლისის ქვეშევრდომთ.

**მაინი.** დიდი შთაბეჭდილება იქონიეს აქ იმ დეპეშებმა, რომლითაც იუწყებოდნენ, რომ რუსეთისა და გერმანიის ურთიანობაზე უწოვნებს საფრანგეთს მის მოქმედებას, რომელსაც (საფრანგეთს) განზრახვა აქვს სხვა სახელმწიფოთა დახმარებით ეგვიპტე ინგლისის ოკუპაციისაგან გაანთავისუფლოს.

შეტყუბურგის ბირჟა, 2 იანვარი

მნიშვნელობა	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხეთ-მანეთიანი ოქრო.	7,80	7,80	—
50% მომგებიანი გირაუნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა.	—	—	209 1/2
4 1/2% გირაუნობის ფურცლები იმავე ბანკისა.	100	—	—
6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა.	—	—	—
50% იმავე ბანკისა.	—	—	—
6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა.	—	—	—
50% იმავე ბანკისა.	—	—	—
50% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრებულო საზოგადოებისა.	—	98	—

# განსჯალებანი

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა** (კუთაში, ვორანცივის ძველის პირდაპირ). ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

**დიდობით:**  
ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულეზანი სახი. რურგია, ვენერიული და სიფილისი-გ. მ. ჩიქანია, 9—10 საათ. სნეულეზანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალა ა. ო. ღუნაგა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულეზანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

**ო. ფ. ზარატასეიანი.** 12—1 საათ. სნეულეზანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ს. მ. ზუგანაი** 10—1 საათამდე, შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავთყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. ზ. კაპაგეტაიანი,** 1—1 1/2 საათ. სნეულეზანი: შინაგანი და ბავშვებისა.

**სადამოლობით:**  
ო. ფ. ზარატასეიანი, 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ს. მ. ზუგანაი** 5—6 საათ., ორშაბ. ოთხშაბათ და პარასკევობით.

**ს. გ. გურგო,** 6—7 საათ. სნეულეზანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ს. გ. გურგო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რქეს და სხვ.

ჩრევა-დარვიგების და რეკვებების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დაქვეყნება სამკურნალოსა დოქტორი მედიცინის ნავასარდიანი.** (წ.)

**კბილის ექიმი**  
**ს. ი. ორბელი**  
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №14—16  
ბავშვთა ექიმის მიიღებს:  
დილით 10-დან 2 საათამდე.  
სალამთი 4-დან 6 საათამდე.  
**კვირა-შაბათ დღეებში**  
დილის 10 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე. (166—1891—63).